

საკანონმდებლო მაცნე

ცვლილება
კანონში

გვერდი 1

ცვლილება
დადგენილებაში

გვერდი 9

ცვლილება
ბრძანებაში

გვერდი 9

ცვლილება კანონში

მიმდინარე წლის ივლისის თვეში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები (14.07.2020, №6817-რს) შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში. ცვლილება შეეხო დღგ-ის კარს სრულად და სხვა მუხლებსაც.

დღგ-ის პროექტი შემუშავდა საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის დღგ-ის დირექტივასთან (2006/112/EC) დაახლოების მიზნით. შედეგად საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული დღგ-ის რეფორმა, გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს, შეამცირებს სადავო შემთხვევებს და გაამარტივებს საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას. იქმნება შესაძლებლობა შემუშავდეს შიდა პროცედურები, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების და ინტერპრეტაციების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით.

დამატებული ღირებულების გადასახადის რეფორმა

ცვლილებების თანახმად საგადასახადო კოდექსის დღგ-ის მარეგულირებელი დებულებები სრულად ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა. აღნიშნული ცვლილებებიდან გამოსაყოფია შემდეგი ჩანაწერები:

ეკონომიკური საქმიანობა დღგ-ის მიზნებისთვის

დღგ-ის მიზნებისთვის ეკონომიკურ საქმიანობად განისაზღვრა შემდეგი საქმიანობები:

- ▶ სამეწარმეო საქმიანობა
- ▶ საქონლის მიწოდების/მომსახურების გამწვევი პირების საქმიანობა
- ▶ ქონების გამოყენება, რეგულარული შემოსავლის მიღების მიზნით, ხოლო ერთჯერადი, არარეგულარული ხასიათის ოპერაციები (გარდა, არასაცხოვრებელი დანიშნულების ქონების მიწოდებისა) არ დაიბეგრება დღგ-ით.

შინაარსი

- ▶ დამატებული ღირებულების გადასახადის რეფორმა
- ▶ სავარაუდო დარიცხვა
- ▶ მულტინაციონალური საწარმოების ჯგუფის ანგარიშგება
- ▶ არარეზიდენტი ფიზიკური პირის/საწარმოს მიერ ქონების იჯარით/ქირით გაცემა
- ▶ საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება
- ▶ მიღებული დივიდენდის შემდგომი განაწილება
- ▶ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი
- ▶ სარგებელი, რომელიც არ განიხილება ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლად
- ▶ სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოქვითვა
- ▶ პროცენტების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან
- ▶ ქონების გადასახადით დასაბეგრი ქონება
- ▶ საგადასახადო სამართალდარღვევისთვის დაწესებული სანქციები
- ▶ უძრავი ქონების მიწოდების დღგ-ისგან გათავისუფლება
- ▶ საინვესტიციო ფონდი
- ▶ დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტები
- ▶ საშემოსავლო ან/და ქონების გადასახადის გადასახდელი ვადა

ეკონომიკურ საქმიანობად, როგორც წესი, არ განიხილება საჯარო დაწესებულებების საქმიანობა, სახელმწიფოს მიერ მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

გამონაკლისის სახით, დგინდება საქმიანობების სახეები, რომლის განხორციელების შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოს საქმიანობა განიხილება ეკონომიკურ საქმიანობად.

საქართველოს მთავრობას, კონკურენციის შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად, ექნება უფლება დამატებით განსაზღვროს ისეთი საქმიანობების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელება ჩაითვლება ეკონომიკურ საქმიანობად.

დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები

დასაბეგრი ოპერაცია განიშარტა, როგორც დასაბეგრი პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში კომპენსაციის სანაცვლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა, აგრეთვე საქონლის იმპორტი.

დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად აღარ განიხილება აქტივების (მათ შორის, მომსახურების) მიწოდება საწარმოს მიერ ყველა აქტივის მიწოდებისას, რეორგანიზაციისას ან კაპიტალში შეტანისას, გარდა ამისა, საქონლის დროებითი შემოტანა აღარ განიხილება დასაბეგრ ოპერაციად.

უსასყიდლო მიწოდების დღგ-ით დაბეგვრა

ცვლილების თანახმად საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება დაიბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პირს ამ ხარჯზე დღგ აქვს ჩათვლილი. მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა დაიბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა არ გამომდინარეობს გადაამხდელის საქმიანობის მიზნიდან ან განეულება თანამშრომლის პირადი სარგებლობისთვის.

აგრეთვე, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციაა დასაბეგრი პირის მიერ საქონლის მიწოდება მისი დაქირავებული პირის პირადი სარგებლობისთვის ან მიწოდება/გამოყენება საკუთარი საქმიანობის მიზნისგან განსხვავებული მიზნით, თუ მას ამ საქონელზე ან მასზე განეულ ხარჯზე დღგ სრულად ან ნაწილობრივ აქვს ჩათვლილი.

საქონლის გადაცემა/გამოყენება, ნიმუშის ან მცირე ღირებულების საჩუქრის სახით არ დაიბეგრება დღგ-ით. მცირე ღირებულების საჩუქარი განიშარტა როგორც - საქონელი ან მომსახურება, რომლის გადაცემა ხორციელდება უსასყიდლოდ და რომლის ღირებულება, დღგ-ის გარეშე, ერთ ფიზიკურ პირზე არ აღემატება კალენდარული წლის განმავლობაში 50 ლარს. მცირე ღირებულების საჩუქრად არ განიხილება სარეკლამო და წარმომადგენლობითი ხარჯი.

საქონლის უსასყიდლო მიწოდება დღგ-ით საბაზრო ფასის ნაცვლად დაიბეგრება საქონლის თვითღირებულებიდან.

საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის დღგ-ით დაბეგვრა

ცვლილების თანახმად უძრავი ქონების (ძირითადი საშუალების) წარმოება ან საკუთარი ძირითადი საშუალების რემონტი საკუთარი მიზნისთვის დაიბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი ვერ მიიღებდა დღგ-ის ჩათვლას ამ საქონლის/მომსახურების სხვა პირისგან შეძენის შემთხვევაში.

მიღებული ავანსის დღგ-ით დაბეგვრა

მიღებული ავანსის დაბეგვრა გავრცელდება უწყვეტ და რეგულარულ მიწოდებებზეც, გარდა კავშირგაბმულობის და სატელეკომუნიკაციო მომსახურებისა, აგრეთვე საქონლის (ელექტროენერჯია, გაზი, წყალი და სხვა მსგავსი საქონელი) რეგულარულად და უწყვეტად მიწოდების შემთხვევებისა.

ლიზინგის ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრა

ლიზინგით განსაზღვრული ვადით ან საქონლის განვადების პირობით მიწოდებისას დღგ-ის მიზნებისთვის საქონლის მიწოდებად განიხილება საქონლის ფაქტობრივი გადაცემა. შესაბამისად, ლიზინგის ოპერაცია საქონლის ფაქტობრივად გადაცემის მომენტში დაიბეგრება დღგ-ით. გარდა ამისა, სალიზინგო მომსახურების დარიცხული სარგებელი არ დაიბეგრება დღგ-ით.

ცალკეული საქონლის მიწოდების დაბეგვრის სპეციალური სქემა

ცვლილებების თანახმად იქმნება შესაძლებლობა მეორადი საქონლის, ხელოვნების ნიმუშის, საკოლექციო ან ანტიკვარული ნივთის მიწოდება დაიბეგროს მოგების მარჟის მიხედვით.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაჩნდა ახალი ტერმინი დასაბეგრი დილერი, რომელიც განიმარტა როგორც – ნებისმიერი დასაბეგრი პირი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, შემდგომი რეალიზაციის მიზნით ყიდულობს ან საკუთარი ეკონომიკური საქმიანობისთვის იყენებს მეორად ნივთს, ხელოვნების ნიმუშს, საკოლექციო ნივთს ან ანტიკვარიატს ან ახორციელებს ამ საქონლის იმპორტს, მიუხედავად იმისა, მოქმედებს იგი საკუთარი თუ სხვა პირის სახელით, მასთან ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიხედვით საკომისიოს გადახდა ხორციელდება საქონლის შეძენისას ან გაყიდვისას.

დასაბეგრი დილერის საქონლის მიწოდების შედეგად დღგ-ით დასაბეგრი თანხის გადახდა მოხდება დასაბეგრი დილერის მიერ მიღებული მოგების მარჟის ოდენობის გათვალისწინებით, ხოლო მოგების მარჟა განისაზღვრება, როგორც სხვაობა საქონლის მიწოდების ფასსა და მის შესყიდვის ფასს შორის. დასაბეგრი თანხა მიიღება დასაბეგრი დილერის მიერ მიღებული მოგების მარჟის ოდენობის 1.18-ზე გაყოფის შედეგად.

მომსახურების განვების ადგილი დღგ-ის მიზნებისთვის

ცვლილებების თანახმად მომსახურების განვების ადგილის განსაზღვრისათვის ამოქმედდება შემდეგი ორი ძირითადი პრინციპი:

- ▶ ბიზნესის (დასაბეგრი პირის) მიერ ბიზნესისათვის (დასაბეგრი პირისათვის) (B2B) - მომსახურების განვების შემთხვევაში მომსახურების განვების ადგილად განიხილება მომსახურების შემძენის დაფუძნების ადგილი;
- ▶ ბიზნესის (დასაბეგრი პირის) მიერ მომხმარებლისათვის (არადასაბეგრი პირისათვის) (B2C) - მომსახურების განვების ადგილად განიხილება ადგილი, სადაც მიმწოდებელი არის დაფუძნებული.

ცალკეული მომსახურებებისთვის დადგინდა დაბეგვრის ადგილის განსაზღვრის სპეციალური წესები. .

ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოკპრაციები

სამედიცინო და საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად დაბეგვრისგან თავისუფლდება მასთან უშუალოდ დაკავშირებული და დამხმარე მომსახურების/საქონლის მიწოდება. გარდა ამისა, დაზღვევასთან ან/და გადაზღვევასთან ერთად არ დაიბეგრება თანმდევი მომსახურებები, რომელსაც სადაზღვევო ბროკერები ან/და სადაზღვევო აგენტები ახორციელებენ.

ზუსტდება სამედიცინო და საგანმანათლებლო სფეროში არსებული საგადასახადო შეღავათის გამოყენების არეალი, მათ შორის, დაბეგვრისგან თავისუფლდება:

- ▶ რელიგიური ორგანიზაციის მიერ პერსონალით უზრუნველყოფის მომსახურება, მათ შორის, სამედიცინო ან საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით;
- ▶ მომსახურების განვება/საქონლის მიწოდება ორგანიზაციის მიერ, სამედიცინო, საგანმანათლებლო და ცალკეული სოციალური ხასიათის საქმიანობისათვის სახსრების მოზიდვის მიზნით;
- ▶ იმ საქონლის მიწოდება, რომელიც გამოყენებულია მხოლოდ სამედიცინო, განათლების, კულტურის, სპორტის და სოციალურ სფეროში არსებულ გათავისუფლებულ ოპერაციებში, თუ აღნიშნულ საქონელზე არ წარმოშობილა დღგ-ის ჩათვლის უფლება.

**ჩათვლის უფლების გარეშე
გათავისუფლებული
ოპერაციები**

დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით
ასევე თავისუფლდება:

▶ საქართველოში
წარმოებული
სამედიცინო/სამკურნალო
დანიშნულების საქონელი,
რომლის ნუსხა განისაზღვრება
კანონქვემდებარე
ნორმატიული აქტით.

▶ მომსახურების გაწევა სხვა
პირის სახელით მოქმედი
შუამავლის მიერ, საქონლის
საერთაშორისო
ტრანსპორტირების ან
საქართველოს ფარგლებს
გარეთ განხორციელებულ
ოპერაციებში მონაწილეობის
შემთხვევაში.

ფართოვდება და ზუსტდება
საქონლის
ტრანსპორტირებასთან
დაკავშირებული დღგ-ისგან
ჩათვლის უფლებით
გათავისუფლებული
ოპერაციები, მათ შორის,
დაბეგვისგან თავისუფლდება:

▶ საქონლის მიწოდება ღია
ზღვაში ან მგზავრების ფასიანი
გადაყვანისთვის ან
კომერციული, საწარმოო ან
თევზჭერის საქმიანობებისთვის
ან სამაშველო ან ზღვაში
დახმარების ოპერაციებისთვის
და სხვა;

▶ საზღვაო და საჰაერო
ხომალდის მიწოდება,
გადაკეთება, შეკეთება,
ტექნიკური მომსახურება,
ფრახტი ან იჯარა, და ასეთ
ხომალდზე დამონტაჟებული ან
გამოყენებული აღჭურვილობის
მიწოდება, იჯარა, შეკეთება ან
ტექნიკური მომსახურება და
სხვა.

**დღგ-ის ჩასათვლელი
თანხის პროპორციის
გაანგარიშება**

ცვლილებების თანახმად
ჩასათვლელი პროპორციული
წილის გამოთვლისას აღარ
გაითვალისწინება ბრუნვის
თანხა, რომელიც უკავშირდება
უძრავ ქონებასთან
დაკავშირებულ ან ფინანსურ
ოპერაციებს, თუ ეს ოპერაციები
დასაბეგრი პირის ძირითადი
საქმიანობისთვის დამხმარე
ხასიათისაა.

**გადახდილი დღგ-ის
დაბრუნება**

ცვლილების თანახმად იქმნება
შესაძლებლობა საქონლის
მიმწოდებელმა დაიბრუნოს
გადახდილი დღგ, თუ უცხო
ქვეყანაში დაფუძნებულმა
ფიზიკურმა პირმა/მგზავრმა მის
მიერ მიწოდებული საქონელი
გაიტანა საქართველოს
ფარგლებს გარეთ.

ცვლილება ძალაშია 2021
წლის 1 იანვრიდან.

**ცვლილებები სსკ-ის სხვა
მუხლებში**

ამავე კანონით დღგ-ს გარდა
ცვლილებები შეეხო ასევე სხვა
საკითხებსაც, რომელთაგან
გვინდა გამოვყოთ შემდეგი:

სავარაუდო დარიცხვა

სსკ-ს დაემატა 66'-ე მუხლი,
რომლის თანახმადაც,
საგადასახადო ორგანო
უფლებამოსილია,
საგადასახადო შემონღმების
გარეშე განახორციელოს
სავარაუდო დარიცხვა თავის
ხელთ არსებული ინფორმაციის
საფუძველზე, თუ:

▶ არსებობს დასაბუთებული
ვარაუდი, რომ გადასახადის
გადახდელის პირადი
აღრიცხვის ბარათზე
განხორციელდა გადასახადის
თანხის უსაფუძვლო შემცირება.
ამ შემთხვევაში სავარაუდო
დარიცხვა შესაძლებელია
განხორციელდეს მხოლოდ
შემცირებული გადასახადის
თანხის ოდენობით;

▶ გადასახადის გადახდელმა
საგადასახადო
კანონმდებლობით დადგენილ
ვადაში არ შეასრულა
დეკლარაციის/გაანგარიშების
წარდგენის ვალდებულება.

სავარაუდო დარიცხვა
შესაძლებელია გაუქმდეს
შესწორებითი დარიცხვით,
ხოლო სავარაუდო და
შესწორებითი დარიცხვის წესი
განისაზღვრება საქართველოს
ფინანსთა მინისტრის
ბრძანებით.

ძალაშია 2020 წლის 23
ივლისიდან.

**მულტინაციონალური
საწარმოების ჯგუფის
ანგარიშგება**

სსკ-ის დაემატა ახალი მუხლი 70¹, რომელიც განმარტავს მულტინაციონალური საწარმოების ჯგუფს და მათ მიერ ანგარიშგების წარდგენის ვალდებულებას.

მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის საბოლოო მშობელი საწარმო, რომელიც საქართველოს რეზიდენტი, ვალდებულია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ქვეყნების მიხედვით ანგარიში საანგარიშო წლის მომდევნო წლის 31 დეკემბრამდე.

მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის ანგარიშის წარდგენის წესი განისაზღვრება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

ძალაშია 2020 წლის 23 ივლისიდან.

**არარეზიდენტი ფიზიკური
პირის/საწარმოს მიერ
ქონების იჯარით/ჭირით
გაცემა**

ცვლილებების თანახმად თუ არარეზიდენტი ფიზიკური პირი/საწარმო იჯარისთვის/გაქირავებისთვის იღებს ანაზღაურებას პირისგან, რომელიც არ არის საგადასახადო აგენტი,

ასეთ დროს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებს შორის.

ძალაშია 2020 წლის 23 ივლისიდან.

**საშემოსავლო
გადასახადისგან
გათავისუფლება**

ცვლილება შევიდა 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.გ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც განისაზღვრა, რომ ფიზიკური პირი რომლის 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივების (გარდა გამსხვისებლის მიერ აქტივების მიწოდებამდე ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების არსებობისას) რეალიზაციიდან მიღებული ნამეტი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან, მოცემული ჩანაწერის მიზნებისთვის აქტივის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება მხედველობაში არ მიიღება, თუ მისი ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დასრულების მომენტიდან მის მიწოდებამდე გასულია 2 წელი.

ძალაშია 2020 წლის 23 ივლისიდან.

**მიღებული დივიდენდის
შემდგომი განაწილება**

98¹ მუხლის მე-2 ნაწილს დაემატა „ე“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც განაწილებულ მოგებად არ ითვლება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციების, კომპანიების, ფირმების და სხვა მსგავსი წარმონაქმნების მიერ (გარდა უცხოური საწარმოს მუდმივი დანესებულებისა) მიღებული დივიდენდის შემდგომი განაწილება, იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პირებს მართვის ადგილი გადმოტანილი აქვთ საქართველოში.

ძალაშია 2020 წლის 23 ივლისიდან.

**მოგების გადასახადით
დაბეგვრის ობიექტი**

98² მუხლის მე-3 ნაწილს დაემატა „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც პირს მოგების გადასახადით არ ებეგრება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, იმ პირისთვის, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება ახალი (ე.წ. „ესტონური მოდელი“) მოდელის მიხედვით.

ძალაშია 2020 წლის 23 ივლისიდან.

სარეგულაციო, რომელიც არ განიხილება ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალად

101-ე მუხლის მე-3 ნაწილს დაემატა „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები, რომლის თანახმადაც, ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში არ შედის:

▶ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სავალდებულო დამდგევის ფარგლებში დამქირავებლის მიერ დაქირავებულის სასარგებლოდ სადამდგევო პრემიის გადახდით მიღებული სარგებელი;

▶ დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საცხოვრებლის სარგებლობაში გადაცემა ან/და კვების მომსახურების განწევა ან/და ამავე მომსახურებებთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, თუ კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

▶ ▶ საცხოვრებლით/საკვებით უზრუნველყოფა ხორციელდება დამქირავებლის საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე და წარმოადგენს დაქირავებული პირის მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჭეროვნად შესრულებისთვის აუცილებელ პირობას ან/და დაქირავებული პირის საცხოვრებელი ადგილით/საკვებით უზრუნველყოფა, დამქირავებლის უზრუნველყოფის გარეშე, საჭიროებს დაქირავებულის მიერ არაგონივრული ხარჯების განწევას ან/და არაგონივრული დროის ხარჯვას;

▶ ▶ საცხოვრებლის სარგებლობაში გადაცემა ან/და კვების მომსახურების განწევა ან/და ამავე მომსახურებებთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება არ წარმოადგენს დამქირავებელსა და დაქირავებულ პირებს შორის არსებული შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების ნაწილს.

ძალაშია 2020 წლის 23 ივლისიდან.

სმსხმების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოქვითვა

109-ე მუხლის მე-2 ნაწილში შესული ცვლილების თანახმად განისაზღვრა, რომ ბანკები და საკრედიტო კავშირები, კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით, ახორციელებენ ამავე წესით განსაზღვრული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოქვითვას.

ძალაშია 2020 წლის 23 ივლისიდან.

პროცენტების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

131-ე მუხლის პირველ ნაწილში განხორციელებული ცვლილებით არარეზიდენტის მუდმივი დანესებულების ან რეზიდენტის მიერ ან მათი სახელით ორგანიზაციისთვის გადახდილი პროცენტი აღარ იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5 პროცენტიანი განაკვეთით.

ძალაშია 2020 წლის 23 ივლისიდან.

ქონების გადასახადით დასაბეგრი ქონება

201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი შეიცვალა და აქამდე არსებული ქონების გარდა რეზიდენტ საწარმოს/ორგანიზაციას დაეკისრა შემდეგი ქონების დაბეგვრა ქონების გადასახადით:

▶ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მიღებულ (დასაკუთრებულ) უძრავ ქონებაზე, იახტაზე (კატარღაზე), შვეულმფრენზე, თვითმფრინავსა და სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე.

▶ ფულადი ვალდებულებების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების ფარგლებში აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით შეძენილ უძრავ ქონებაზე, იახტაზე (კატარღაზე), შვეულმფრენზე, თვითმფრინავზე და სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე.

ძალაშია 2020 წლის 23 ივლისიდან და ვრცელდება 2020 წლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ერთიერთობებზე.

საგადასახადო სამართალდარღვევისთვის დაწესებული სანქციები

282-ე მუხლის მე-4 ნაწილის ცვლილების შედეგად დღგ-ის გადახდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისთვის გათვალისწინებული ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში, ჯარიმა საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის შემცირებისათვის აღარ გამოიყენება.

286-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ცვლილების შედეგად შემსუბუქდა სანქცია სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ბედნადების გარეშე ტრანსპორტირებისთვის, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ბედნადების გაუცემლობისა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ბედნადების მიღებაზე უარის თქმისთვის და 10,000 ლარს ბემოთ საბაზრო ღირებულების საქონელზეც ნაცვლად 10,000 ლარიანი ჯარიმისა გავრცელდა 500 ლარიანი ჯარიმა.

ძალაშია 2020 წლის 23 ივლისიდან.

უძრავი ქონების მიწოდების დღგ-ისგან გათავისუფლება

309-ე მუხლის 79-ე ნაწილი დაკორექტირდა და შესაბამისად, უძრავი ქონების, რომლის სამშენებლო ნებართვა ძალაში იყო 2008 წლის 8 აგვისტოსთვის,

მიწოდება და მასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების განწევა 2015 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლდა დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით. ცვლილებამდე არსებული რედაქციით აღნიშნული გათავისუფლება შეეხებოდა 2023 წლის 1 იანვრამდე მიწოდებულ უძრავ ქონებას და მასთან დაკავშირებულ სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურებას.

2015 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში განხორციელებული გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის მიმართ გაიზარდა ხანდაზულობის ვადები.

ძალაშია 2020 წლის 23 ივლისიდან.

საქართველოს კანონით № 6815-რს 2020 წლის 14 ივლისს კიდევ ერთი ცვლილება შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში:

საინვესტიციო ფონდი

ცვლილებით სსკ-ს დაემატა 23¹ მუხლი. საინვესტიციო ფონდი განიმარტა როგორც სანარმო, რომელიც „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებულია ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ან საინვესტიციო კომპანიის სახით, რომლის მართვასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საქმიანობა,

აგრეთვე საინვესტიციო ფონდისთვის დეპოზიტარული მომსახურების განწევა ფინანსურ მომსახურებად განიხილება.

ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ერთეულის მფლობელები დამოუკიდებლად ახორციელებენ საგადასახადო ანგარიშგებას. გარდა ამისა:

▶ ერთობლივ საინვესტიციო ფონდსა და მის აქტივების მმართველ კომპანიას არ ეკისრებათ ამ კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო აგენტის ვალდებულება.

▶ ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ერთეულის მფლობელის მიერ ან მისი სახელით „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქმიანობის განხორციელება ამ ერთეულის მფლობელისთვის არ წარმოშობს მუდმივ დაწესებულებას საქართველოში.

▶ მოგების გადასახადით არ იბეგრება ერთობლივი საინვესტიციო ფონდის მიერ „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქმიანობის ფარგლებში:

▶▶ განაწილებული მოგება

▶▶ განუული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის

▶▶ უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების განწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა

▶▶ სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით განეული წარმომადგენლობითი ხარჯი

▶ საინვესტიციო კომპანიის მიერ ფიზიკური პირისთვის ან არარეზიდენტი საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და შემოსავლების მიმღების ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

▶ საინვესტიციო კომპანიის მიერ „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქმიანობის ფარგლებში განეული შემდეგი ხარჯები/განაცემები გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან:

▶▶ განეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის

▶▶ უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების განწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა

▶▶ სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით განეული წარმომადგენლობითი ხარჯი

▶ საინვესტიციო კომპანიის მიერ მოგების განაწილება, თუ დივიდენდის მიმღები არარეზიდენტი ან ფიზიკური პირია, იბეგრება 15%-იანი განაკვეთით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საინვესტიციო კომპანია ინვესტიციას ახორციელებს მხოლოდ საბანკო დეპოზიტებში ან/და ფინანსურ ინსტრუმენტებში,

(გარდა რეზიდენტი საწარმოსგან მიღებული მოგების განაწილების შემთხვევისა) საინვესტიციო კომპანიის მიერ მოგების განაწილება დაიბეგრება 5%-იანი განაკვეთით.

▶ მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულია საინვესტიციო კომპანიის მიერ არარეზიდენტისთვის ან ფიზიკური პირისთვის მოგების განაწილება, თუ შემოსავალი, რომლიდანაც ხორციელდება დივიდენდის გადახდა:

▶▶ არ მიეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს;

▶▶ მიეკუთვნება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზებით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს;

▶▶ მიეკუთვნება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზებით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს ან ამ ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებულ შემოსავალს;

▶▶ მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის ან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით

მიღებულ ნამეტ შემოსავალს ან ამ ფასიანი ქაღალდიდან ან კომერციულ ბანკში განთავსებული დეპოზიტიდან პროცენტის სახით მიღებულ შემოსავალს.

მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული მოგების თანხის იდენტიფიცირებისთვის ითვლება, რომ საინვესტიციო კომპანიის მიერ დივიდენდის განაწილებისას პირველ რიგში ეს თანხა გაიცემა.

▶ არარეზიდენტის ან ფიზიკური პირის მიერ საინვესტიციო ფონდის ერთეულის მიწოდებით ან გამოსყიდვით მიღებული ნამეტი შემოსავალი იბეგრება: 15%-იანი განაკვეთით, ხოლო თუ საინვესტიციო ფონდი ინვესტიციას ახორციელებს მხოლოდ საბანკო დეპოზიტებში ან/და ფინანსურ ინსტრუმენტებში, გარდა საინვესტიციო ფონდის მიერ რეზიდენტი საწარმოს წილებში/აქციებში ინვესტიციის განხორციელების (წილის/აქციის ფლობის) შემთხვევისა, საინვესტიციო ფონდის ერთეულის მიწოდებით ან გამოსყიდვით მიღებული ნამეტი შემოსავალი დაიბეგრება 5%-ით.

▶ საშემოსავლო და მოგების გადასახადებისგან გათავისუფლებულია შემოსავალი, რომელიც მიღებულია:

▶▶ საქართველოში საჯარო შეთავაზებით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული საინვესტიციო ფონდის ერთეულის რეალიზაციით;

►► საინვესტიციო ფონდის ერთეულის რეალიზაციით ან საინვესტიციო ფონდის ერთეულის გამოსყიდვით, თუ საინვესტიციო ფონდი ინვესტიციას ახორციელებს მხოლოდ საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებში ან საქართველოს მთავრობის ან/და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში ან რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზებით გამოშვებულ და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებულ სასესხო ფასიან ქაღალდებში.

ცვლილება ძალაშია 2020 წლის 20 ოქტომბრიდან

ცვლილება დადგენილებაში

დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტები

საქართველოს მთავრობის № 435 დადგენილებით 2020 წლის 10 ივლისს ცვლილება შევიდა „იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების განსაზღვრის შესახებ, რომელთა მიერ განწეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ჩათვლის დოკუმენტია“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №401 დადგენილებაში.

კერძოდ, პირველ მუხლს დაემატა „ო“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ განწეული მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი საფასურის დამადასტურებელი დოკუმენტი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტს წარმოადგენს.

დადგენილება ძალაშია 2020 წლის 10 ივლისიდან.

ცვლილება ბრძანებაში

საშემოსავლო ან/და ქონების გადასახადის გადასახდელი ვადა

მიმდინარე წლის 14 ივლისს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის №17079 ბრძანება (15.06.2020), რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 18 მაისის №13446 ბრძანებაში. კერძოდ, 23-ე მუხლს დაემატა მე-7 და მე-8 პუნქტები, რომელთა თანახმადაც 2020 წელს (მათ შორის, 2020 წლის თებერვალში, მარტში, აპრილსა და მაისში) გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის ან/და ქონების გადასახადის გადახდისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადა გაუგრძელდა 2020 წლის პირველ დეკემბრამდე

იმ გადასახადის გადამხდელს, რომელმაც საგადასახადო ორგანოში წარმოადგინა განცხადება საშემოსავლო გადასახადის ან/და ქონების გადასახადის გადახდის გადავადების შესახებ და რომელთან დაკავშირებითაც, საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საურავი არ დაერიცხება და გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი საგადასახადო დეკლარაცი(ებ)ის მონაცემები და მიმდინარე გადასახდელები გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე აისახება 2020 წლის 30 ნოემბრის საგადასახადო თარიღით.

ბრძანება ძალაშია 2020 წლის 26 ივნისიდან.



მარიამ ხუსკივაძე

Mkhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე

MEnukidze@bdo.ge

▶ ნაიკითხეთ მეტი www.bdo.ge

ეს პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ შპს „ბიდიოს“ პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს „ბიდიო“, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შებენიერი კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ბიდიო არის საერთო სავაჭრო სახელი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.